№ 58

ოთხშაბათი, 13 მარტი 1896

** გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომ. —ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877—1896

# ივერია

№ 58

ოთხშაბათი, 13 მარტი 1896

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩ. №21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი №227


ეროვნული ბიბლიოთეკა


თბილისის სახელმწიფო თეატრი

ოთხშაბათს, 13 მარტს

ქართველ არტისტების ამხანაგობისაგან გამართული იქნება წარმოდგენა ეფ. მესხისა ბ-ნი ვ. აბაშიძის და კ. მესხის მონაწილეობით

## მადამ სან-ჟენ

კომედია 4 მოქმედ. მორო და სარდუსი, თარგ. კ. მესხის მიერ

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნი ეფ. მესხისა, ჩხეიძისა, ბეზირგანოვისა, ციცქივაძისა, არლანისა, ბ-ნი აბაშიძე კ. მესხი, გუნია, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე და სხვანი.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

გამგენი: კ. მესხი. ვ. აბაშიძე.


## დროებითი კომიტეტი

რომელიც წყალ-დიდობისა და დიდის თოვლიანობისაგან დაზარალებულ ქუთაისის გუბერნიისა და ტფილისის გუბერ. გორის მაზრის მცხოვრებთა სასარგებლოდ შესდგა, უმორჩილესად სთხოვს მსურველთ შემოწირულება კომიტეტის თავმჯდომარის კნ. ე. ნ. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის სახელზედ გაჰგზავნონ ხოლმე. (ლორის მელიქოვის ქუჩა, საკუთარი სახლი).

შემოწირულებას მიიღებენ აგრეთვე კომიტეტის შემდეგი წევრები: კნ. მ. ა. შარვაშიძისა (ახალი ბებუთოვის ქუჩა, საკუთარი სახლი). კნ. მ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვისა (გოლოვინის პროსპექტი, საკუთარი სახლი), კნ. მ. ვ. ორბელიანისა (ნიკოლოზის ქ., საკუთარი სახლი), კნ. ნ. დ. ჩოლაყაშვილისა (განოვის ქ., გურგენოვის სახლი, კნ. ე. მ. სუმბათაშვილისა (ერევნის მოედანი, საკუთარი სახლი), ა. ფ. მილიუტინისა, უგანათ. თავ. პ. ა. გრუზინსკი (ერევნის მოედანი, სუმბათაშვილის სახლი), თავ. გ. ი. ორბელიანი (მიხეილის ქუჩა), თავ. დ. ა. გურამიშვილი (კონსულის ქ.) და თავ. ვ. ს. მიქელაძე (განოვის ქ., 7).

შემომწირველთა გვარი და სახელები გაზეთის საშუალებით იქმნება გამოცხადებული. (7—5).

### მთავრობის განკარგულებანი.

—

უმაღლესის ბრძანებით სამხედრო უწყებაში: გორის ქვეითა სათადარიგო ვოლკის უფროსს, ჰოლკოვნიკს თავადს ერისთავს გენერალ-მაიორობა ებოძა.

ფოსტა-ტელეგრაფის გამგეობაში: კოლეჟსკი სეკრეტრობა ებოძათ: ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელეს მელიქიშვილს და სურამისას —მესხს:—კოლეჟსკი რეგისტრატორობა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელეს ჟურდფაში მოლოდინიშვილს.

## ახალი ამბავი

—

*** დღეს, 13 მარტს, ტფილისის სახაზინო თეატრში ქართველ არტისტთა ამხანაგობისაგან წარმოდგენილი იქნება ოთხ-მოქმედებიანი კომედია სარდუსი და მოროსი „მადამ სან-ჟენ"-ი.

*** ყარაიის აისორებმა 10 მარტს გარდაიხადეს პანაშვიდი განსვენებულის გაბრიელ ეპისკოპოსის სულის მოსახსენებლად.

*** სატახტო ქალაქების გაზეთების სიტყვით, გარდასახადთა დეპარტამენტის დირექტორი მარკოვი პეტერბურგიდამ მოსკოვს წასულა სააქციზო გამგეობათა საქმეების სარევიზიოდ და აქედამ კავკასიაში ჩამოვა თურმე სააქციზო დაწესებულებათა სარევიზიოდ.

*** უმაღლესის ბრძანებით წელს გადიდვა 500 ათასი მანეთი ქალაქისა და სოფლის სამღვდელოების ჯამაგირებისა და შემწეობისათვის. („მ.ვ.")

*** ტფილისის გუბერნატორს თავადს შარვაშიძეს ხვალ, 14 მარტს, მოელიან ტფილისში.

*** დღეს, 13 ამ თვისას, დანიშნულია პამპალოვის ქალის მოტაცების საქმის გარჩევა. საქმის გარჩევაზე გარეშე საზოგადოებას დასწრების ნება არა აქვს.

*** თელავის მაზრაში, სოფ. იყალთოში მცხოვრებს კატო თვალიაშვილის ცოლს თავისის შვილიშვილის, ასე 4 წლის ბავშვის, გაბანება სდომებია, ჩაუსვამს თაბახში და შეცდომით გაუნელებელი, ადუღებული წყალი-კი დაუსხამს. ბავშვს 6 საათი-ღა უცოცხლნია.

*** ჩვენ მივიღეთ ქუთაისში გამოცემული წიგნი „სიყვარული". თხზ. ლ. თათეიშვილისა. გამოცემა გუდავასი და ავტორისა. წიგნი შეიცავს 263 გვერდს, ჩართული აქვს რამდენიმე სურათი და ღირს ერთი მანეთი.

*** ამ ჟამად ტფილისში იმყოფება ინჟენერი დომბროვსკი, სახაზინო რკინის გზათა მმართველობის წევრი. ბ. დომბროვსკი თავმჯდომარეა იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს იხმაროს ყოველგვარი საშუალება, რომ მოსალოდნელ წყალდიდობას დაიფაროს რკინის გზის ლიანდაგი გაფუჭებისაგან.

*** გორი: ათს მარტს გორის საკრებულო ტაძარში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სულის მოსახსენებლად, რომელზედაც დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. ვიდრე პანაშვიდი დაიწყებოდა, ბატონმა ნიკო ლომაურმა წარმოსთქვა გრძნობით სავსე სიტყვა. ამ უკანასკნელმა იქ მყოფებზედ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

### ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის დასაფლავება.

საგანგებო კორესპონდენტისაგან.

ყოვლად სამღვდელოს, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის გამოსვენება მოხდა ამ თვის ათს რიცხვსა იმ წესითა და რიგით, რომელიც გამოცხადებული იყო ამ დღეებში ჩვენს გაზეთში. მაგრამ სანამ ამას ავსწერდეთ, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: პარასკევს, 8 მარტს, ქუთაისის დურგლებმა გადაიხადეს სამგლოვიარო წირვა საყვარელის მიცვალებულის მღვდელ-მთავრის სულის მოსახსენებლად. მწირველი იყო ყოვლად-სამღვდელო ბესარიონი. მეორე დღეს, შაბათს, ამისთანავე წირვა გადაიხადა ქუთაისის ვაჭრებმა, მწირველი იყო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, ყოვლად სამღვდელო გრიგოლი, რომელმაც წირვის შემდეგ წარმოსთქვა მეტად საყურადღებო სიტყვა.

წირვის გათავებისას მობრძანდა მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესი ექსარხოსი საქართველოისა ვლადიმერი, ეპისკოპოსის ბესარიონითურთ, რომელთაც მრავალთა მღვდელ-მონაზონთა თანამონაწილეობით გარდაიხადეს პანაშვიდი. პანაშვიდის დაწყებამდე წარმოთქმული იყო სიტყვა ხარების მონასტრის არხიმადრიტის ამბროსის მიერ. პანაშვიდი იყო რუსულად შესრულებული, წირვა-კი რუსულ-ქართულად და გალობაც იყო რუსულ-ქართულ გუნდთა.

გათენდა კვირა დღე. მეტად გულსაკლავად დაურჩა ყველას ერთობით ის ამბავი, რომ დღე დადგა წვიმიანი. ჯერ ერთი კვირის წინად დაწყებულმა წვიმებმა მეტად აატალახიანა უამისოდაც ტალახიანი ქალაქი და 10 მარტიც, ერთი კვირის წვიმიანობის შემდეგ, რასაკვირველია, მეტად ტალახიანი დადგებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისე დილა ადრიან, ჯერ ახალ-გათენებისასაც ხალხმა დაიწყო თავის შეყრა საკათედრო სობოროს მიდამოებში.

როგორც დანიშნული იყო გამგე კომიტეტის მიერ, იმ წესითა და რიგით მოხდა ყველაფერი კვირა დღეს. დილის შვიდ საათიდამ ქუთაისის ყველა ეკკლესიებში დაიწყო სამგლოვიარო რეკვა. რვა საათის ნახევარზედ სობოროდამ დაწყებული ალექსანდრეს, ნემცისა და ტფილისის ქუჩებზედ უკვე იყვნენ თავ-თა-

---

# ფელეტონი

## ფ ი ც ი.

(მოთხრობა სიცილიელთა ცხოვრებიდამ)

ნოყიერის ბალახით განთქმული „მონტ პელიგრინოს" მთა ზღვას ამაყად გადმოსცქერის. პალერმოს მიდამოში მდებარე სოფლების საქონლის საუკეთესო საძოვარ ადგილად ითვლება იგი.

ამ მთის ძირში, ქვიშნარ ზღვის ნაპირას, გაშენებულია მეთევზურთა პატარა სოფელი, რომლის სახლებიც ყველა ერთმანეთსა ჰგავს; ბანები ყველას სწორე აქვსთ და თეთრის ქვით არიან დახურულნი.

ყოველ საღამოს, როგორც-კი ღამის ზეწარი გადაეფარებოდა ზღვას, სოფლელები სათევზაოდ გაეშურებოდნენ ხოლმე და მთელს ღამეს გარეთ ატარებდნენ. მხოლოდ მეორე დღეს, შუადღისას, ბრუნდებოდნენ მეთევზურნი შინ, მაგრამ ჯერ პალერმოსაკენ შეივლიდნენ უთუოდ, რომ აქ გაესაღებინათ თევზი.

ლამაზი ნინო ოდდო მთელს სოფელს უყვარდა. მისი მაღალი ტანი, შესაფერი მხარ-ბეჭი, შავი ხუჭუჭი თმა და ლურჯი დიდრონი მხიარული თვალები ყველას ერთნაირად იზიდავდნენ. სოფლის ქალები თითქმის გაგიჟებულნი იყვნენ ოდდოსათვის.

მაგრამ ახალგაზდა მეთევზურის გული ბავშვობიდამვე მისს ბიძაშვილს ლუჩის მოეხიბლა.

ნინო ოდდო ჯერ ისევ ბავშვი იყო, როდესაც მშობლები დაეხოცა და გასაზრდელად ბიძა ჯიაკომომ აიყვანა. რამდენისამე წლის შემდეგ ჯიაკომომ ცოლი შეირთო და ლუჩი მიეცა. მთელი თავისი სიყმაწვილე ჯიაკომოს პატარა სახლში გაატარა ნინო ოდდომ. ნინო და ლუჩი სიხარულსა და მწუხარებაში ერთმანერთის თანამოზიარენი იყვნენ: ერთად დადიოდნენ სასწავლებელში, ბიძამ პირველად ერთად წაიყვანა ისინი ზღვაზედ და ასე შეეთვისენ ერთმანეთს. მერმედ-კი მეგობრობა სიყვარულზედ შეეცვალათ. მოხუცებულს ჯიაკომოს მუდამ ის ფიქრი ამხნევებდა, რომ მალე მას ფუნჩულა შვილიშვილები ეყოლებოდა და როდესაც ზამთრის გრძელს ღამეებში ახალგაზდანი სათევზაოდ წავიდოდნენ, ისა და მისი მოხუცებული ცოლი მარტონი აღარ დარჩებოდნენ.

ნინომ და ლუჩიმ უსიტყვოდ განუცხადეს ერთმანერთს სიყვარული და აღდგომის შემდეგ ჯვარიც უნდა დაეწერათ.

—

მაგრამ ასე არ ფიქრობდა მშვენიერი ანუცა, რომელსაც გაგიჟებით უყვარდა ნინო ოდდო და ვერ შესთვისებოდა იმ აზრს, რომ ნინო ოდდო ოდესმე სხვისი ქმარი იქმნებოდა.

ანუცაც მეთევზაობდა და ამითი ინახავდა თავისს თავს და უსინათლო მამას. უსინათლო მოხუცს მუშაობა არ შეეძლო და რომ მას ანუცა არ ჰყოლოდა, ხომ სამოწყალოდ ხელი უნდა გაეშვირა და ისე ეცხოვრა. ყველას მოეხსენებათ რა არის გლახაკის ცხოვრება და მერმე ისიც სიცილიაში, სადაც სიღარიბეს საზარელ უკიდურესობამდის მიუღწევია.

ნინოს შეხვედრაზედ ანუცას სისხლი მღელვარე ნაკადულივით მოაწვებოდა ხოლმე და მზად იყო ვნებით აღსავსე სიყვარულის გამომხატველის სიტყვებით მიჰგებებოდა; მაგრამ ყმაწვილი კაცი ამას ვერ ჰნიშნავდა, დამშვიდებული ზრდილობიანად მისცემდა ხოლმე სალამსა და გზას გაუდგებოდა.

საბრალო ანუცას-კი უწყალოდ სტანჯავდა ეს გულგრილობა ნინოსი. ერთხელ, როდესაც ნინო ოდდოს შეჰხვდა, მასსრულიად დაავიწყდა ქალწულებრივი მოკრძალება და ყველაფერში გამოუტყდა იმ იმედით, რომ სასურველს პასუხს მიიღებდა. ნინო ოდდო განცვიფრებული უგდებდა ყურს და სრულიად გულცივად განუცხადა უარი:—„განა არ იცით, რომ მალე ლუჩიზედ დავიწერ ჯვარსაო და განშორდა.

ამ ღამეს ანუცას ნავი დამშვიდებულს ზღვაზედ აღარ დასცურავდა. ანუცა გულ-დაწყვეტილი იჯდა შინ და მწარედ სტიროდა თავისს უარყოფილს სიყვარულს; ხოლო იმისი ერთგული ნავი-კი, რომელსაც არა ერთხელ დაეხსნა იგი მღელვარე ზღვაში შთანთქმისაგან, ამოპირქვავებული ეგდო ნაპირზედ და ტყუილად ელოდდა თავისს პატრონს.

მეორე დღეს ანუცა ზღვაში შესცურდა; მხოლოდ იმისი სახე ეხლა უფრო მწუხარე და ჩათხრობილის გამომეტყველებისა იყო.

დღე დღეს მისდევდა... უსაზღვრო ზღვის ზურგი ათას ფრად მოპჰყვრიალებდა. მეთევზურნი ჩვეულებრივად ყოველ ღამ შესცურდებოდნენ ხოლმე ზღვაში თავიანთის ნავებით. ბოლოს დროს თითქოს ანუცასაც სულის სიმშვიდე დაუბრუნდა.

მაგრამ საქმით სულაც არ იყო ასე; ანუცამ სამუდამოდ გარდასწყვიტა, რომ თავისის სანატრელის ნინოს ცოლი გამხდარიყო. მხოლოდ ამაზე-ღა ფიქრობდა; მხოლოდ ამას-ღა სცდილობდა, მაგრამ ვერაფერს ახერხებდა. საბრალო ანუცას სტანჯავდა ის ფიქრი, რომ რამდენისამე კვირის შემდეგ ნინო მისთვის სამუდამოდ დაკარგული იქნებოდა. ნინო ოდდო მისს ბედნიერს მეტოქეს ლუჩის შეირთავდა ცოლად.

—

მარტის მშვენიერი ღამე იყო. ცას მოეწმინდა, ზღვა, ჩამავალის მზის სხივებით გაკაშკაშებული, სარკესავით მოელვარებდა; ყველა ეს იმისი ნიშანი იყო, რომ თევზი ბლომად მოხვდებოდა. ბინდისას ყველა მეთევზურნი ზღვაში შესცურდნენ. ეს ბუნების სიმშვიდე თითქოს არაფერს უნდა დაერღვია. მაგრამ უცბად ცაზედ პატარა ღრუბელი გამოჩნდა, ავარდა ქარი და ორი თუ სამი ნავი გადააბრუნა. ნინო ოდდოს ნავსაც ეს უბედურება ეწვია. მაგრამ ნინო

ვის ადგილას დალაგებულნი სამხედრო ჯარები და ქუთაისის ყველა სასწავლებელთა მოსწავლენი—ვაჟები და ქალები. ჩვენ ვსთქვით, რომ დღე იყო წვიმიანიო, მაგრამ ამან არ შეუშალა ხელი იმათ, რომელნიც თვე ნახევარი მეტი მოელოდენ ამ სამწუხარო დღეს, რომ უკანასკნელად ენახათ ცხედარი საყვარელის მღვდელთ-მთავრისა და მოძღვრისა. მართლაც უნდა გენახათ ის ქუჩები ქუთაისისა, რომელზედაც უნდა გაევლო სამგლოვიარო კორტეჟსა. ყველა ქუჩის კუთხე, სახლების სახურავები, ლობეები, აივანები და ფანჯრები მთლად გატენილი იყო ხალხითა, მიუხედავად იმისა, რომ სუსხიანი დღე იყო. ამდენი აუარებელი ხალხი იყო, მაგრამ ვერსად ვერ ნახავდით რომ სადმე წესიერება დარღვეულიყო ან ხმაურობა რამ გაგეგონათ: დამსწრე არ იყო, რომ იმის სახეზედ არ აღბეჭდილიყო მწუხარება და სულის კვეთების ნიშანი.

დილის რვა საათზედ გამოასვენეს ცხედარი საკათედრო ტაძრიდამ და კორტეჟი გაემართა იმ ქუჩებზედ, რომლითაც უნდა ევლო მას რკინის გზის სადგურამდე. ერთი ვერსის სიგრძე მეტი ჰქონდა კორტეჟს, როცა სრულად გაიმართა. წესისა და რიგის დანიშნულებისამებრ მოხდა გასვენება ცხედრისა რკინის გზის სადგურამდე. ყველაზედ წინ მიჰქონდათ ფარნები და დიდი სანთლები, მერე კუბოს სახურავი, საეკკლესიო და საერო დროშები და დიდი ჯვარი, ამათ შემდეგ ჩამწკრივებულნი იყვნენ შემდეგნი დეპუტაციები ქალაქ ქუთაისისა და იმის გუბერნიისა, რომელთაც ზოგიერთთ ხატები ჰქონდათ მოტანილი განსვენებულის საფლავის შესამკობლად—წმ. ნინოსი, წმ. გიორგისა, ღვთის-მშობლისა, ქალაქ ქუთაისისა (ხატით), გაბრიელის ეპარქიალურ საქალებო სკოლისაგან (ხატით), სამეურნეო სასწავლებლის ქართველ მოსწავლეთაგან, ქუთაისის მოხელეებისაგან (ხატით), ხელოსნებისა (ხატით), ასოთ-ამწყობლებისაგან, გამომცემელ საზოგადოებისაგან, ქუთაისის ქალებისაგან (მშვენიერის ხატით), ფოსტა-ტელეგრაფში ქართველ მოსამსახურეთაგან. დეპუტაციები იყო ქუთაისის გუბერნიის სოფლების საზოგადოებებისა: ღანირისა, ჭაგანისა, დვალიშვილებისა, კიკნაველეთისა, დიდი ჯიხაიშისა, გორასი, დაბა საჩხერისა, კაცხისა, ჩიხისა, ბაღდათისა, ზეკარისა, კლდეეთისა (ხატით), ხრეითისა, ბოსლევისა, საზანოსი, საქარისა, თერჯოლისა, მუხურისა, შორაპნისა, ჩხარისა, დაბა ყვირილის ვაჭართა (ხატით), ჭიათურისა, ბახვისა (ხატით), ზუგდიდის მოქალაქეთაგან, კვათანისა (ხატით), ასკანისა, ჭიათურლებისაგან, სოფ. რიონისა, დაბა ხონისა (ხატით), მარტვილისა, სენაკის თავად-აზნაურთა სკოლისაგან, ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლისაგან, ბათუმის ნოქრებისაგან, ბათუმელ ქართველ საზოგადოებისაგან, ქალაქ ბათუმისაგან (ხატით), ქალაქ ფოთისაგან (ხატით), ქალაქ სოხუმის ქართველთაგან (ხატით). დეპუტაციები ტფილისის გუბერნიიდამ იყვნენ: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა (ხატით), დრამატიულ საზოგადოებისა, თავად-აზნაურთა სკოლის კომიტეტისა, თავად-აზნაურთა სკოლისა (ხატით), ტფილისის სამეურნეო სკოლის ქართველ მოსწავლეთა, ტფილისის ქართველ ვაჭართაგან (ხატით), ე. ხელაძის სტამბისაგან, „ივერიის“ რედაქციისაგან, „კვალისა“ და „ჯეჯილის“ რედაქციისაგან, ტფილისის სემინარიის მოსწავლეთაგან (ხატით), თელავისა და სიღნაღის სამღვდელოებისაგან, თელავის თავად-აზნაურთაგან, გორის სამღვდელოებისაგან და გორისავე ქალაქისაგან, ოდესის ქართველ სტუდენტთაგან და განჯის ქართველთაგან. ამათ რიგზედ მიჰყვებოდნენ ქუთაისის ისრაელთა რაბინი და რამდენიმე ებრაელი და სომეხთა სამღვდელოების წარმომადგენელი დეკანოზი ტერ-დავით იარალიანცი.

ამათ შემდეგ მიდიოდა ქართველთა სამღვდელოება, რომელსაც შეადგენდა სამასამდე მღვდელი ზოგი ქუთაისის ეკკლესიებისა, ზოგიც სოფლებიდამ ჩამოსულნი; მერე საქართველოს ექსარხოსი ვლადიმერი, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო გრიგოლი, ალავერდის ეპისკოპოსი, ამ ჟამად აღმასრულებელი იმერეთის ეპისკოპოსობის თანამდებობისა, ყოვლად სამღვდელო ბესარიონი, არხიმანდრიტი ხარების მონასტრისა ამბროსი და კრებული ქუთაისის საკათედრო ტაძრისა. შემდეგ მიასვენებდნენ ცხედარს, რომლის გარშემო მიჰქონდათ ჯვარის სანთლები, სამწერობელნი, კვერთხი და ბარტყულა. ცხედარს მიჰყვებოდა განსვენებულის ახლობელი ნათესაობა. შემდეგ ქუთაისის გუბერნატორი, უგანათლებულესი თავადი გენ. ადიუტ. გრიგოლ დადიანი, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, ვენერლები, სხვა ქალაქების მოურავები, სხვა-და-სხვა დაწესებულებათა უფროსები და უმაღლესი მოხელენი; ქუთაისის გუბერნიის მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, ქუთაისის სამოქალაქო სამართველოს ხმოსნები ქალაქის მოურავის მეთაურობით. ხელოსანთა ამქრები თავიანთ მამასახლისებითურთ და ამათ შემდეგ ხალხი.

დილის ცხრა საათი იყო, როცა კორტეჟი რკინის გზის სადგურს მივიდა. აუარებელი ხალხი ელოდებო და აქ ცხედარის მოსვენებას. სადგურზედ გამზადებული იდგა საგანგებო მატარებელი, რომლის ბოლოში მობმული იყო მშვენივრად სამგლოვიაროდ მორთული ღია ვაგონი—ბალდახინი, რომელსაც ზევით ჯვარი ედგა. ამ ვაგონის წინ იყო სალონ-ვაგონი, რომელშიაც ექსარხოსი, ეპისკოპოსი ბესარიონი და საპატიო პირნი მოთავსდნენ.

აქამდე თავ-დაჭერილი ხალხი სადგურზედ მეტად აირია და ერთბაშად მიაწვა მატარებლის ვაგონებს, რომ საჩქაროდ ადგილი დაეჭირა. ერთი საათი მეტი იდგა მატარებელი, ვერ დაიძრა ადგილიდამ, რადგან აუარებელი რიცხვი ხალხისა მიაწყდა: სადაც-კი შესაძლებელი იყო ფეხის მოდგმა და ხელის წავლება—სულ დაიჭირა ხალხმა და სამღვდელოებამ. ბევრს ემუდარებოდა რკინის გზის მოხელეები ხალხსა, სთხოვდნენ გარედ გამოსულიყო ნაწილი, თორემ უბედურება მოხდება გზაში, ან რელსი ვერ გაუძლებს ამოდენა სიმძიმეს, ან ვაგონის ღერძი და რესორი გვისუსტებს და შეიძლება სულაც დავიღუპოთო.

— მეორე მატარებელი მიჰყვება ამ მატარებელს, ცოტას გასცილდება თუ არა სადგურს ეს მატარებელიო. ეხვეწებოდნენ რკინის გზის მოხელეები და პოლიცია ხალხსა.

რამდენიმე კაცი დასთანხმდა ამგვარს სიტყვას, მაგრამ უმეტესობა მაინც დარჩა თავ-თავის ადგილს.

— თავი რად უნდა დავიღუპოთ მართლა, ან რა უნდა გავაკეთოთ გელათში რომ მივაწყდეთ; ჩვენ ხომ ჩვენი მოვალეობა მოვიხადეთ ღირსეულის ცხედრის წინაშე. გავიდეთ აქედამ, ვაგონიც შევამსუბუქოთ და ჩვენი თავიც ხიფათს ავაშოროთ!— სთქვა ერთმა მღვდელმა, როცა იმის ყურს მისწვდა ის ამბავი, რომ ვაგონები მეტად გაჭედილია და სიმძიმისაგან ადვილად შეიძლება უბედურება მოხდესო.

— არც გავალ აქედამ და არც სიკვდილის მეშინიან. ერთხელაცაა სიკვდილს ვერ ავშორდებით. თუ მაინცა და მაინც ღმერთს უნდა რომ დღეს სიკვდილი მოგვანიჭოს, ამაზედ უკეთეს შემთხვევას ვერ შევხვდებით სიკვდილისათვის. დეე, მოვკვდე, მაინც არ მოვშორდები ცხედარს.

დაიძრა როგორც იყო მატარებელი, მაგრამ ნახევარი ვერსი არ გაუვლია—გაჩერდა, ვერ ასწია გარდამეტებული სიმძიმე. მოითხოვეს მეორე ორთქლის მატარებელი და ძლივს დასძრეს მატარებელი ადგილიდამ. მოწამეთის მონასტერთან მატარებელმა მიიღო აქაური წინამძღვარი არხიმანდრიტი ბესარიონი კრებულითურთ გაბრიელის სულის მოსახსენებელ მოკლე პანაშვიდის შემდეგ. $11\frac{1}{2}$ საათზე მატარებელმა მიაღწია სადგურს „გელათს“ და აქედამ კორტეჟი შეუდგა მონასტრის აღმართს, სადგურიდამ 3—4 ვერსის მანძილზედ დაშორებულს მონასტრისაკენ. რადგან გვიან იყო, რომ მეტად არ დაგვიანებულიყო, ექსარხოსი და ეპისკოპოსი ბესარიონი დაწინაურდნენ და მისვლისათანავე მონასტერში წირვის წესის ასრულებას შეუდგნენ. ზევით ჩვენ დაგვავიწყდა აღგვენიშნა, რომ ქუთაისის სადგურზე ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი გრიგოლი გამოეთხოვა ცხედარს და დაბრუნდა, რადგან შეუძლოდ ბრძანდებოდა.

მთელი მიდამო გელათისა, რკინის გზის სადგურიდამ მოყოლებული მონასტრამდე მოფენილი იყო მრავალის ხალხით. აგრეთვე გზა-გზაც შეგვხვდა აქა-იქ ჯგუფ-ჯგუფად დალაგებული ხალხი, რომელიც დიდის სასოებით ქუდს იხდიდა და მუხლს იხრიდა, როცა მატარებელი ჩაივლიდა მათ წინ.

ნაშუადღევის მესამე საათს ცხედარი მიასვენეს მონასტერში. სრული გალავანი მონასტრისა ძლივს იტევდა აუარებელს საზოგადოებასა. წირვა გარდაიხადეს რუსულად, რუსულისავე მგალობელთა გუნდის გალობით. ვებერთელა მონასტერმა ადვილად მოითავსა თავის კედლებში აუარებელი რიცხვი დამსწრე საზოგადოებისა, რომელსაც შეადგენდა თითქმის ყველა ის წარმომადგენელნი, რომელნიც ზემოთ აღვნიშნეთ.

წირვის შემდეგ წარმოთქმულ იყო გამოსათხოვარი სიტყვები. პირველი სიტყვა წარმოსთქვა სოფ. კულაშის ბლაღოჩინმა მღვ. ერმალოზ კანდელაკმა, ამის შემდეგ საქართველოს ექსარხოსმა ვლადიმერმა და ეპისკოპოსმა ბესარიონმა. შემდე სთქვეს: ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. დ. ნიჟარაძემ. კნეინა ფაღავასამ, თეოფინე ხუსკივა-

---

ოდდო მალე აზვირთებულ ტალღებს ზევით მოექცა და გასცურდა. შორს ზღვაში თვალი მოჰკრა შავს წერტილს და ძახილით მიაშურა.

ეს ნავი ანუცასი იყო და, მოჰკრა თუ არა ყური ამ ძვირფასს ხმას, ანუცამ ისარივით გასწია მისკენ. მაგრამ მალე უცბად ნიჩაბს თავი ანება, ამაყად გასწორდა წელში და ასე დაუწყო ცდა ნინოს, რომელიც ცურვისაგან დასუსტებულ-დაუძლურებული უკანასკნელს ძალას ხმარობდა, რომ ნავს მიახლოვებიყო.

ჯოჯოხეთურმა ფიქრმა გაურბინა თავში ანუცას,—დაერჩო ნინო და თითონაც დამრჩვალიყო, ან არა გადაერჩინა და სიტყვა ჩამოერთმია, რომ მას, ანუცას, შეირთავდა და მისათვის საზიზღარს ლუჩის-კი დაივიწყებდა. თითქოს გარემოებაც ხელს უწყობდა მისს განზრახვას.

რის გაჭირვებით მისცურა ნინო ოდდომ ნავთან, ჩაავლო ქიმს ხელი და ეგონა ეგ არის გადარჩენილი ვარო, რომ ყრუთ მოესმა ვილასიც ხმა, რომელიც დედ-მამის საფლავს აფიცებდა, ცოლად იგი მას შეირთავდა, ვისაც პირველად ჰნახავდა ნავში. ცურვისაგან დაუძლურებულმა და გონება დაკარგულმა ნინომ ბევრი აღარ იხვეწია და ანნუცამაც იღლიაში ხელი ჩასჭიდა და ნავში აიყვანა.

გონზედ მოსულმა ნინო ოდდომ იგრძნო, რომ მას ვიღაცა მხურვალედ ჰკოცნიდა და სიყვარულს უცხადებდა.

ნინოს მოაგონდა საზარელი ფიცი და ძალა თითქოს დაუბრუნდა. ფარნის მკრთალს სინათლეზედ მან გაარჩია ანნუცა და ყველაფერს მიჰხვდა. ძნელი წარმოსათქმელია ის, რა ტანჯვაც ნინომ გამოიარა. კარგად ჰგრძნობდა იგი, რომ მიცემულის ფიცის გამო სამუდამოდ ანნუცასი იყო, მაშინ როდესაც ლუჩი გაგიჟებით უყვარდა.

პირველი ფიქრი ნინოსი ის იყო, რომ თავი დაერჩო, მაგრამ ეს ფიცის გატეხვა იქმნებოდა, რომელიც სიცილიელთა ჩვეულებებით მხოლოდ მაშინ უქმდება, როდესაც ფიცის ჩამომრთმევი კვდება. ერთი-ღა დარჩენოდა, დაჰმორჩილებოდა ბედს და მოუფიქრებლად მიცემული ფიცი რაიმე ნაირად გამოესყიდნა თავისს სიცოცხლეში. ანუცა გრძნობდა ინსტიქტიურად, თუ რა ტანჯვაში იყო ნინო ოდდო და თითონვე ესაზარლებოდა იმ საშუალების წარმოდგენა, რომლითაც ასე ძალით ჩამოართვა ფიცი შერთვისა დასარჩობად გამზადებულს საყვარელს ნინოს; მაგრამ ის ფიქრი, რომ დღეის შემდგომ ნინო სავსებით და სამუდამოდ მისი იქნებოდა, უსაზღვრო სიხარულსა და ნეტარებას ჰფენდა მისს გულსა.

ანნუცა ხმა-ამოუღებლივ მოუჯდა ნიჩაბს და ნავმა სწრაფად გასწია ნაპირისკენ, სადაც შინ დარჩენილნი მეთევზურნი მოუთმენლად ელოდნენ სათევზაოდ წარსულთა დაბრუნებას. ამათ შორის იდგნენ მოხუცი ჯიაკომო და ლუჩი. ლუჩი ცხარედ სტიროდა და ზღვაზედ გადაშლილს გაურკვეველს ბნელს გაჰყურებდა. გული საშინლად უკვნესოდა...

კარგად გრძნობდა იგი, რომ ეს კარგს არას მოასწავებდა, მაგრამ მოხუცი ჯიაკომო, როგორც-კი შეეძლო, ანუგეშებდა საყვარელს ქალს, მხოლოდ ფიქრით-კი მხურვალედ შესთხოვდა ღმერთს, რომ მისი ძვირფასი ძმისწული მშვიდობით დაბრუნებულიყო.

ყველა ნავები დაბრუნდნენ და მლოდნელთ დამშვიდებულის გულით შეეძლოთ შინ დაბრუნება.

ეხლა მარტო ნინო ოდდო და ანუცა-ღა აკლდნენ და ყველა, ვინც-კი ზღვის პირად იდგა, მოუსვენრად გაჰყურებდა ჩამობნელებულს ზღვას.

ქარიშხლის დროს ნინოს ნავი ყველაზედ წინ იყო და ამიტომ მტირალს ლუჩის ვერავინ ვერ აძლევდა სანუგეშებელს პასუხს, თუ რა დაემართა იმისს საყვარელს საქმროს.

მაგრამ აგერ შორს, ზღვაზედ, გამოჰკრთა სუსტი სინათლე და ყველამ სულ-განაბულებმა დაუწყეს ცქერა ამ წერტილს, რომელიც, რამდენადაც უახლოვდებოდა ზღვის ნაპირს, იმდენად უფრო იზრდებოდა. ნაპირზედ მდგომთ ნინოსა და ანუცას დაუწყეს ძახილი, მაგრამ ნავიდამ პასუხს არავინ იძლეოდა. ახალგაზრდანი სულ სხვა ფიქრში იყვნენ წასულნი. პირველი ფიქრობდა, თუ რა ზარს დასცემდა საბრალო ლუჩის ამ ამბის შეტყობა, მეორე-კი თვალს არ აშორებდა თავისს საყვარელს არსებას და სცდილობდა რაიმე ნაირად ჩაეჩუმებინა სინიდისის მხილება და საყვედური ორ საყვარელ არსების დაშორების შესახებ.

ნაპირიდამ ეხლა კარგად სჩანდა, რომ ნავში ორნი ისხდნენ და ყველას დაუმშვიდდა გული, რომ გააფთრებულმა ბუნების მოვლენამ მეთევზურთაგანი არავინ იმსხვერპლა.

ყველაზედ მეტად ლუჩი იყო გახარებული; იგი სიცილით და ტირილით ეხვეოდა თავისს მოხუცს მამას.

აგერ ნავიც შესცურდა ქვიშნარი ნაპირზედ და გადმოხტა ნინო, მოღრუბლული, დაღონებული. მასთან გადმოჰყვა ანუცა, მხიარული და კმაყოფილი. ახალგაზდა მეთევზური მკვდარივით იდგა საცოლესა და მამის შუა; ანუცა-კი ყველას უამბობდა, თუ როგორ გადაარჩინა ნინო დარჩობას, როდესაც მისი ნავი ზღვამ დაძირა. მაგრამ მოხერხებულმა ანუცამ საზარელ ფიცის შესახებ სიტყვაც არავის უთხრა.

დამშვიდებულნი სოფლელნი სახლში დაბრუნდნენ გახარებულნი, რომ ქარიშხალმა არავინ იმსხვერპლა.

შინ დაბრუნებისას ნინომ ჯიაკომოს ყურში ჩასჩურჩულა, რომ მოსალაპარაკებელი ჰქონდა რაღაც.

ანუცა აღელვებული ადევნებდა თვალს და მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როდესაც შეშფოთებული ლუჩი მარტო შევიდა სახლში და ჯიაკომო-კი თავისს ძმისწულ ნინოსთან წავიდა.

ანუცამ გამოათრია ნაპირზედ ნავი და სახლისკენ გაეშურა მოხუც მამის დასამშვიდებლად, რომელსაც იმდენი დაკარგული ჰქონდა, თუ მშვიდობით დაბრუნდებოდა მისი

ძემ, თავ. ილია ჭავჭავაძემ ტფ. სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლ. ივ. რატიშვილმა, თავ. ვ. მაჩაბელმა, მარტვილის სამრევლო სკოლის მასწავლებელმა ივ. ბობოხიძემ. შემდეგ სიტყვა დაიწყო სომეხთა მღვდელმა დეკანოზმა ტერ-დავით იარალიანცმა ქართულად. ხუთი მინუტი მეტი ილაპარაკა დეკანოზმა, მაგრამ მივიდნენ მასთან და აღუკრძალეს სიტყვის გაგრძელება. საზოგადოებამ მაღალის ხმით შესძახა განაგრძეთ სიტყვაო, მაგრამ მამა იარალიანცმა ეს არ ინება და გავიდა ეკკლესიიდამ.

## „ქართველ ქალთა ამხანაგობა“.

ყველამ კარგად უწყის, თუ რა ღრმად დამახასიათებელი სახელი ეწოდა ამ ჩვენს XIX საუკუნეს—საუკუნე „არსებობისათვის ჭიდილისა“; უწყის ისიც, თუ რა სიფრთხილე, რა მხნეობა, რა გარჯა, რა მოსაზრება და ცხოვრების ღრმად ცოდნა არის საჭირო თვითოეულის კაცის, ოჯახის, ტომისა და ერის, ანუ სახელმწიფოსათვის, რომ მათ სწორედ და უშიშრად შესძლონ საარსებო ცხოვრების დაქნილსა თუ დაუქნელს გზაზედ სიარული... ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ მთელი ევროპა, ეს დაწინაურებული მხარე ქვეყნიერობისა, სხვა-და-სხვა სავაჭრო თუ სამრეწველო ამხანაგობებით მოიფინა, ხოლო ამხანაგობებში მონაწილეობა მიიღეს არა ფულის პატრონთ, არამედ უფულო ხალხმა, რომ ამითი დიდ ფულის პატრონთა და მრეწველთა ქსელიდამ როგორმე გამოეხსნათ თავი, ჰქონოდათ თავიანთი საკუთარი საწყობები, მაღაზიები, ფაბრიკები, ქარხნები და სხვ. დღეს ეს გარემოება ჩვენშიაც ჰპოვებს ნიადაგს, რადგანაც ვაჭრობა, თუ მრეწველობა მთლად სხვის, სხვა ერის და წოდების ხელშია. ქართველებს-კი მზა-მზარეულზედ ცხოვრებამ ერთის საუკუნის განმავლობაში, როდესაც მხოლოდ ნაღდს ფულს და ჩვენს სოფლის ნაწარმოებს, ხშირად-კი თვით საცხოვრებელს მამეულსაც ვლევდით და ვლევდით ლუკმისათვის, ლამის არის უკიდურესს მდგომარეობამდე მიგვიყვანოს...

აი, ეს გარემოება იყო აქაც მიზეზი, რომ ამ რამდენისამე წლის წინად აქა-იქ საქართველოში, ქალაქებში, თუ დაბებში დაიწყეს დეპოების გახსნა იმ აზრით, რომ თვითონ ქართველებს სჭეროდათ ხელში სასწორი და არშინი, სცოდნოდათ რა საქონელი როგორა ფასობს და როგორ შეიძლება პირიანად მით ვაჭრობა, რომ მხმარებელი საზოგადოება თავისს სარჩოს ერთსა და ორს არ ულოცავდეს გასასუქებლად, არამედ თვითონვე სარგებლობდეს იმ მოგებით, რომლითაც სხვები მილიონებს მოუყრიან ხოლმე თავს. შორს რომ არ წავიდეთ ამისი მაგალითები მრავალზედ უმრავლესი გვაქვს თვალწინ. მთელი ტფილისი ამას ჰღაღადებს. თვითოეული ქუჩა, სახლი ამისი მოწმეა...

მაგრამ პროვინციებში ამ საქმემ ფეხი ვერ მოიკიდა, ზოგი იმ მიზეზით, რომ მოთავენი მეტად გამოუცდელნი იყვნენ და ხალხი კიდევ ჯერ შეუჩვევარი, ზოგიც იმიტომ, რომ საქმის დამწყებნი მხოლოდ იდეებით იყვნენ გატაცებულნი და გული-კი არ შესტკიოდათ და როცა იდეა გაუუქმდათ, მაშინ ხომ თვითონ მისი ნაყოფიც უნდა მოეგლიჯათ და გადაეგდოთ, როგორც უვარგისი! აი, სწორედ ასე მოიქცნენ ყველგან. იქნება კიდევ სხვა მიზეზებიც იყო, ეს ჩვენ არ ვიცით!

ქება და სახელი მხოლოდ ერთს ამათგანს—ქიზიყის სახალხო დეპოს, რომელსაც მართლაც კარგად მიჰყავს საქმე. ხოლო ჩვენ იმედი გვაქვს დამაარსებელი დეპოსი, პატივცემული ბ-ნი მაჩხანელი ყოველგვარს საშუალებას იხმარს და არ დაიშურებს თავისს გარჯასა და საქმის ერთგულობას, რომ ერთი ასად და ათასად აქციოს დეპო. სახელი იქნება მისი და მისთა თანამოსაქმეთა. ამ დეპომ-კი, როგორც ნამდვილად ვიცით, ას-სამოცი თუმნიდამ დაიწყო მოქმედება. დღეს-კი ათასამდე წევრი ჰყავს.

სწორედ ეს გარემოებები იყო მიზეზი, რომ ჩვენმა შეგნებულმა ქალებმა ამ ოთხის თვის წინად, რამდენისამე მათგანის თაოსნობით, თავი მოიყარეს და გარდასწყვიტეს ტფილისში გახსნან სავაჭრო სახლი „ქართველ ქალთა ამხანაგობისა“, რომელსაც აზრადა აქვს თავისს წევრებს ცხოვრებისათვის უსაჭიროესის საგნების შეძენა გაუადვილოს იაფფასისა და კარგის თვისების საქონლით ვაჭრობით. „ამხანაგობა“ ამ აზრით გახსნის სავაჭრო სახლს ისეთსავე, როგორიც მაგალითად რკინის გზასა აქვს და ოფიცერთა საზოგადოებას. ხოლო შემდეგში, როდესაც „ამხანაგობის“ თანხა გაიზრდება, იგი გაჰხსნის საკუთარს ფაბრიკებსაც ამა თუ იმ საქონლის დასამუშავებლად, მიუმატებს მაღაზიას სხვა-და-სხვა განყოფილებებს ჩასაცმელ-დასახურისას, მაუდეულობისასა და ამ რიგად თან-და-თან გააფართოვებს თვისს მოქმედებას. საწევრო შესატანი თუმანია, რომელიც შეიძლება ხუთის თვის განმავლობაში იქმნას გარდახდილი. „ამხანაგობას“ უკვე ერთ თვეზე მეტია თავისი წესდება შედგენილი და დაბეჭდილი აქვს.

როგორც პატივცემულს ქართველს საზოგადოებას მოეხსენება, ესეთი „ამხანაგობა“ ჩვენში პირველი მაგალითია; პირველია იმითი, რომ ქალებმა თვითონ მოჰკიდეს ხელი იმ საქმეს, რომელსაც მამა-კაცთ რამდენჯერმე ბოლო მოუღეს. შეიძლება აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც სთქვან: ვაჭრობა ქალების საქმე არ არის, ვაჭრობას დიდი გამოცდილება და ცოდნა უნდა, ბოლოს ვერ გაატანენო. ექვის გამოთქმა არავის აეკრძალება, მაგრამ ვიტყვით-კი, რომ აღნიშნულს ექვს აქ ადგილი არა აქვს. არც ერთს ქალს, გამგეობის წევრი იქნება იგი თუ ზედამხედველ კომიტეტისა ან წევრი ამხანაგობისა, დახლში, სადაც მართლა ვაჭრობის წვრიმალი საქმეა, ხელი არ ექმნება: აქ გამოცდილი და ვაჭრობის მცოდნე ნოქარი იდგება, რომლის მეთვალყურეობაც შეადგენს ერთად-ერთს მოვალეობას ქალებისას. ეს-კი, ვგონებთ, იმდენადვე შესაძლებელია ქალების მხრივ, რამდენადაც ჩვენის ინტელიგენტ კაცებისაგან. ხოლო თუ თვითონ ვაჭრობაზე მივარდება საქმე, თამამად ვიტყვით, ამ საქმის მცოდნე ინტელიგენტი ქართველი არც ერთი არ მოგვეძებნება.

მაშ, აქ მხოლოდ საქმის სიყვარული, მხნეობა, თვალის ერთგულად დევნებაა საჭირო, და ეს-კი ერთგვარად შეუძლიანთ იკისრონ ქალებმაც და კაცებმაც. განსხვავება და დიდი განსხვავებაც ამ საქმეში ერთი რამ არის და სახელდობრ ის, რომ ქალები, როგორც აქამდე უკიჟინებდნენ, ამ ჟამად მარტო ჩაცმა-დახურვასა, უბრალოდ დროს გატარებასა, ბალებსა, ვეჩერებსა და სხვა ამგვარებზედ-კი არ ფიქრობენ, არამედ სცდილობენ მძიმე უღელი ცხოვრებისა მამაკაცებს გაუზიარონ, მიიღონ აქტიური მონაწილეობა ცხოვრების ამა თუ იმ სფერაში და რაიმე სასარგებლო მოქმედებით აღბეჭდონ განვლილი გზა. ბედნიერია ის ერი, რომლის დედებიც აქამდის ამაღლდებიან, შეიგნებენ დროს გაჭირვებას და ქალურის თავ-განწირვით და ერთგულებით მოჰკიდებენ ხელს საქმეს, რომლის ჭირისუფლობაც რამდენიმე ათასი წელიწადია მამა-კაცთა მოვალეობას შეადგენდა. სულ ოთხი თვეა, რაც საქმე დაიწყეს ქალებმა და დღემდის მათ იმოდენი გააკეთეს, რამოდენიც სხვებს ასეთს საქმეში ორისა და სამის წლის განმავლობაში ვერ მოუხერხებიათ. დღეს „ქართველ ქალთა ამხანაგობას“ ას-ოცზე მეტი წევრი ჰყავს და რამდენიც დღე მიდის, იმდენი უფრო-და-უფრო სწრაფად და წინ მიდის საქმე. აქ საკვირველიც არა არის-რა! ვინ გამოიჩენს ხოლმე ისეთს გულდასმით საქმის სიყვარულს, ისეთს ერთგულებას, ისეთს სამაგალითო მხნეობას საზოგადო საქმეში ჩვენში მაგ., რომ სხვა ხალხზედ არ ვილაპარაკოთ, როგორც ქალები. რა საზოგადო საქმეც უნდა დაასახელოთ, ყველგან ქალის გამრჯელობა უფრო მეტია, ვიდრე კაცისა. ქალი, როგორც ქვეყნად შთენილი სათნოება, სიყვარული და თანაგრძნობის ზღვა, თავისის მადლიანის მოქმედებით ყველგან და ყოველთვის ყოფილა იმ ძალად, რომელსაც კაცი უმხნევებია, უხსნია და კვალად ჯეროვანს სიმაღლეზედ დაუყენებია. ამ საქმეშიაც, როგორც ქალების დღევანდელი მოქმედება გვიჩვენებს, გვაიმედებს ის გარემოება, რომ ერთი საუკეთესო და ღრმად-პატივცემული ადამიანი, როგორიც ბრძანდება კნ. ოლგა თადეოზის ასული ჭავჭავაძისა, „ამხანაგობის“ საპატიო თავმჯდომარედ ითვლება და ეს-კი იმედს გვაძლევს „ამხანაგობის“ საქმე სამაგალითოდ კარგად წავიდეს, მალე გაფართოვდეს და სოფლის დეპოებს, მისით გამხნევებულთ, ცენტრალურ დეპოთ გარდაექცეს. ამით, მხოლოდ ამ გვარ ამხანაგობებით, შეიძლება დღევანდელი ქართველთა უკან დაწეული ცხოვრება როგორმე გამობრუნდეს. ეს ერთად-ერთი საშუალებაა, რომ სიმდიდრე, რომელიც დღეს სხვის ხელში მიდის, აქვე დატრიალდეს, საზოგადო სასარგებლო საქმეს მოეხმარდეს, რაიცა თავის უპირველეს მიზნად მიაჩნია ხსენებულს „ამხანაგობას.“

სხვათა შორის, „ამხანაგობას“ ერთი ფრიად სიმპატიური საგანი კიდევ სხვა აქვს განზრახული: აღადგინოს ძველი ქართული ქარგვა ოქრომკედზედა და ძვირფასს ფარჩეულობაზე, რომელიც დღეს თითქმის მივიწყებულია და მისცეს საშუალება მსურველთ „ამხანაგობის“ სახელოსნო-სკოლაში, რომელსაც შეძლებისამებრ მალე გაჰხსნის, შეეძლოთ ისწავლონ ჭრა-კერვა და სხვანი, რაიცა დღეს ასე ნაკლებად არის ჩვენს ოჯახებში გავრცელებული და რა-

---

იმედი, მისი მაცოცხლებელი ანუცა.

ამ დროს ნინო თვალ ცრემლიანი უამბობდა მოხუცს ბიძას თავისს თავგადასავალს და საშინელს შერისხვას ელოდა.

ეს ამბავი ჯიაკომოს ტყვიასავით ეცა გულში, მაგრამ, როგორც ძველ ზნე-ჩვეულებათა დამცველმა, უბრძანა თავისს ძმისწულს, მტკიცედ შეესრულებინა მიცემული ფიცი და ცოლად ანუცა შეერთო, თუმცა-კი ჰგრძნობდა, რომ ამით მოუსპობდა სიცოცხლეს ერთად-ერთს თავისს ქალს.

მაგრამ ამ ორში რომელი დაასვამს ლუჩის სასიკვდილო ისარს? ნინომ უარი განაცხადა. საბრალო მამამ, როგორც-კი დაბრუნდა სახლში, ნება-უნებურად განუზიარა ეს საშინელი ამბავი თავისს ლუჩის. ლუჩის სიმწარით ენა ჩაუვარდა, შეიტყო-რა, რომ იმისი საქმრო დღეიდამ სხვას ეკუთვნოდა და მეორე დღესვე ლოგინათ ჩავარდა.

ლუჩის ავადმყოფობა მთელმა სოფელმა შეიტყო და ყველას უკვირდა და ვერ გაეგოთ რა იყო მიზეზი მისის ავადმყოფობისა; არავის ფიქრადაც არ მოსვლია, თუ ამისი მიზეზი მშვენიერი ანუცა იყო, რომელმაც ეს თავისი საიდუმლო მოხუცს მამას უკვე განუზიარა.

უსინათლო მამამ მაშინათვე გაიგო, რომ აქ რაღაც საიდუმლო იფარებოდა და გამოკითხვა დაუწყო ანუცას, თუ როგორ მოხდა, რომ ლუჩის საქმრომ მას განუცხადა ცოლად შერთვის სურვილი. დიდის ყოყმანის შემდეგ ანუცა გამოუტყდა მამას, რომ ფიცი ძალით ჩამოართვა. მამამ იგი მკაცრად გაჰკიცხა და უთხრა, რომ მათი ერთად ცხოვრება იქნება მხოლოდ ტანჯვა მის მიერ ჩადენილ ცოდვისა გამო; მაგრამ ანუცა მაინც გულს არ იტეხდა და იმითი აიმედებდა თავს, რომ ნინო, მოხიბლული მისის სილამაზით და ალერსით, სრულიად დაივიწყებდა ლუჩის და მათი სიცოცხლე სიტკბოებასა და სიამოვნებაში გაივლიდა.

ამ დროს განმავლობაში ჯიაკომოს საშინლად დაეტყო მწუხარება და როდესაც მეზობლები დაეკითხებოდნენ ხოლმე, თუ რად არის ლუჩა ავათაო, ის უნებურად უამბობდა ყველას თავისის ძვირფასის ქალის უბედურებას.

ანუცა ეხლა ყველას შესძულდა, ყველა ერიდებოდა, მაგრამ იგი ამას სრულიადაც ყურადღებას არ აქცევდა. ან-კი რას დააკლებდნენ ანუცას სოფლის ჭორი და სიძულვილი, ოღონდ იმისს ღვთაებას, ნინოს, არ შესძულებოდა და მალე ისე შეეყვარებინა, როგორც მისი ბედნიერი მეტოქე უყვარდა.

მაგრამ მოსტყუვდა ანუცა. მისს საქმროს გულ-ცივობა სიძულვილზედ შეეცვალა. ნინო ეხლა ყოველს ღონისძიებას ხმარობდა, რომ თავისს ახალს საცოლეს არ შეჰხვედროდა. მისი ფიქრი მომაკვდავს ლუჩის არ ჰშორდებოდა. ის მზად იყო შეეწირა ყოველისფერი, თვით სიცოცხლეც-კი, ოღონდ ამითი თავისი საყვარელი ლუჩი როგორმე დაერწმუნებინა, რომ იგი უდანაშაულო იყო.

დრო გადიოდა და ანუცა-კი ჰხედავდა, რომ მისს დამოკიდებულებას საქრმოსთან უკეთესობა არაფერში არ ეტყობოდა; პირიქით დღითი-დღე ეს დამოკიდებულება უფრო მწვავდებოდა.

ახალგაზრდა მეთევზური ძლიერ გამოიცვალა. მისი უიმისოდ მომღიმარე, მხიარული სახე მწუხარების გამომეტყველად გარდაქმნილიყო და ანუცას შეხვედრაზედ ხომ ისეთი სიძულვილი და სიბრაზე აღბეჭდებოდა ხოლმე სახეზედ, რომ ანუცას გული უნებურად ეხუთებოდა. ანუცასათვის ეხლა ცხადი იყო, რომ ნინო თავისს პირველს საცოლეს არასოდეს არ დაივიწყებდა და მისის სილამაზის მომხიბლველობა ვერას გახდებოდა.

მაგრამ ფიცის ძალით ჯვარის-წერა უთუოდ უნდა მომხდარიყო. საბრალო ქალი კარგად ჰხედავდა, რომ ან უნდა მისთხოვებოდა იმ კაცს, რომელსაც იგი სძულდა, ან არადა თავი მოეკლა და ამით ფიცი აეხსნა.

გაჰქრა ჩვეულებრივი მხიარული ღიმილი ანუცასი! იგი ახლა მუდამ მოწყენილი, გულჩათხრობილი იყო და მძიმე ტანჯვა და იქვი გულს საშინლად უღრღნიდა...

აღდგომა იყო.

დიდი ხანია გაჩაფხულმა ბუნება ააყვავა, მონტ პელიგრინოს მთის კალთები მწვანემ დაჰფარა; ხეები დაიფოთლა და ზოგი მათგანი კიდეც აჰყვავდა. განახლებული ბუნება ყველას და ყველგან სიყვარულს ჩასჩურჩულებდა.

რამდენისამე დღის შემდეგ ანუცას და ნინოს ჯვარი უნდა დაეწერათ. ამ ამბავს ავადმყოფობისაგან გამობრუნებულს ლუჩის უმალავდნენ.

ანუცასა და ნინოს შორის დამოკიდებულება არაფრით არ შეცვლილა; პირიქით ნინო ეხლა პირდაპირ სიძულვილს უცხადებდა. საბრალო ანუცამ სრულიად დაჰკარგა მიედი, რომ ქორწინება ნინო ოდდოს რითიმე შესცვლიდა. მას ეხლა ერთი ხსნა-ღა ჰქონდა—მოეკლა თავი და ამით დაემშვიდებინა თვისი ტანჯული სული.

ქორწინების დრომაც მოატანა... სამწუხარო სანახავნი იყვნენ საქორწილოდ გამზადებულნი მეფე-დედოფალი. ისინი დაღონებულები მიდიოდნენ ეკკლესიაში, თითქოს სიცოცხლეს ემშვიდობებიანო და სამახსოვრო ბედნიერს წამებს სამუდამოდ ეთხოვებიანო.

სოფლიდამ საყდრისკენ მიმავალი გზა ზღვის პირად კლდეებს შუა გადიოდა. ერთს ადგილას ბილიკი ზღვაზედ გარდმოკიდულ კლდეზედ ცერად ეშვებოდა. საქორწილო ხალხი რომ ამ ადგილას მოვიდა, ანუცა უცბად შემობრუნდა უკან, საქრმოს გადაეხვია, მაგრად ჩაჰკოცნა და ელვის სისწრაფით ზღვაში გადაეშვა. ყველას საზარელი კივილი აღმოხდა გულიდამ, მაგრამ ვეღარა უშველეს-რა, რადგანაც ფრიალო კლდე უფსკრულებრ ჩასცქეროდა უძირო ზღვას, რომელიც ბრაზით და გმინვით გულს იხვევდა და ქაფად ქცეული თოვლის გორებად იფანტებოდა.

აი, რა მოჰყვა ფიცს, ძალით მოპოვებულს.

ედიშერაანთ ოლა.

შიაც მრავალი ფული გადის ქართველთა ოჯახიდამ. ამ საგანს ბევრი თანამგრძნობელი აღმოუჩნდა და ზოგიერთნი ას თუმნობითაც ჰპირდებიან „ამხანაგობას.“

ინ-ანი.

1896 წ. 12 მარტი.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** ის ჟურნალისტები, რომელნიც ფორს ახლდნენ მისი მოგზაურობის დროს, ამბობენ, რომ ნამდვილი ტრიუმფი იყო ფორისათვის ეს მოგზაურობაო და მოგაგონებდათ გრევისა და გამბეტას ერთად მოგზაურობასაო. გრევი მაშინ პრეზიდენტი იყო და გამბეტა კი მთავარ მინისტრი, თუმცა გარეგანის შესახედაობით გრევის უმართავდნენ დღესასწაულს, მაგრამ ეს დღესასწაული მთლად ერთიანად გამბეტას ეკუთვნოდა, ეხლაც ისე იყო: ფორს აღტაცებით ეგებებოდნენ, მაგრამ ეს აღტაცება უფრო ბურჟუასაგან იყო გამოწვეული. ამგვარი მიმართულება მანისფესტაციებისა უფრო ნათლად გამოიხატა ლიონში, სადაც ხალხი იძახოდა „ძირს სენატი“ „გაუმარჯოს სამინისტროსაო“, ნიცაში, მენტში და მარსელში-კი ამ აღტაცებამ უმაღლესს ხარისხამდის მიაღწია. მარსელში ფორსა და ბურჟუას სწორედ საქმე გაუჭირვეს ამგვარი ძახილით: „ძირს სენატი“ «გაუმარჯოს სამინისტროს». პროვინციაში როგორღაც უფრო აღტაცებითა და თანაგრძნობით ეპყრობიან პროგრესიულ სამინისტროს, ვინემ თვით პარისში. ოპორტიუნისტები გააფთრებულნი არიან ამით და იძახიან ფორმა გვიღალატაო დი ყოველს ღონეს ვიხმართ მივატოვებინოთ ელისეს სასახლეო. ძალიან დიდ უკმაყოფილებას აცხადებენ, როგორ თუ ხალხს ნება მიეცით სენატის წინააღმდეგ მანიფესტაციები მოეხდინაო.

— ინგლისელი ჟურნალი „სპიკერი“ არჩევს ზოგიერთა აზრს ბურჟუას სამინისტროს შესახებ და ამბობს: „სამინისტრომ შეაერთა რადიკალთა და სოციალისტთა დეპუტატები და სრულიად გარკვეული პროგრამმა წარმოადგინა. ამ პროგრამმის ორი მუხლი მეტად საინტერესოა მთელის ხალხისათვის და მათი სისრულეში მოყვანა მიუცილებელი ხდება. ჩვენ ვამბობთ შემოსავალის კვალობაზე დაწესებულ გარდასახადისა და ახალშენის ჯარის შესახებ. რაც არ უნდა სთქვან ოპორტუნისტების გაზეთმა და ჩვენმა „ტაიმს“-მა, გარდასახადის ახალი პროექტი მეტად საყურადღებოა და მეტად საფუძვლიან ნიადაგზედ არის აშენებული, თუმცა შეიძლება ზოგიერთს წვრილმანში შეცდომებიც იყოს. დიდ-მნიშვნელოვანია აგრეთვე სამხედრო მინისტრის კავენიაკის პროექტი ახალშენის ჯარის შესახებ. ამ პროექტის წყალობით საფრანგეთის ჯარს აღარ დასჭირდება ალჟირში სამსახური. ბურჟუას სამინისტროს დაცემა გამოწვეული იქნება მით, რომ ამ სამინისტროს მტკიცე პრინციპები აქვს შემუშავებული, რომელიც ოპორტუნისტთა უმეტესობას არ მოსწონს, სხვა სამინისტროების დაცემა-კი გამოწვეული იყო უბრალო რაიმე მიზეზით.

**იტალია.** ოფიციალურის ცნობებიდამა სჩანს, რომ ადუაში ბრძოლის დროს იტალიელებს ჰყოლიათ 484 ოფიცერი (სუყველა იტალიელი), 11.111 იტალიელი ჯარის კაცი და 7.333 ადგილობრივი ჯარისკაცი და 64 ზარბაზანი. ასე სულ 19.000 ჯარის კაცს მიუღია ამ ბრძოლაში მონაწილეობა. მართალია აქამდინაც ვიცოდით დაახლოვებით რიცხვი ჯარის კაცთა, მაგრამ ეხლა ოფიციალური წყაროებიდამ მოგვყავს ეს ცნობები. სულ რომ დიდი, ნამდვილზედ ოთხასი—ხუთასი კაცით იყოს მეტი ან ნაკლები. ნამდვილი რიცხვი კი თვით იტალიელმა მთავრობამაც არ იცის.

— მენელიკი თურმე თხოულობს შემდეგს იტალიელებისაგან თუ ზავს შეკვრენ ერთმანეთ შორის: იტალიელებს დარჩებათ ტერიტორია მდინარე მარებამდის, ამ მდინარის სამხრეთით დაარსდება ტიგრეს სახელმწიფო. ტიგრეს მმართველად არ უნდა დაინიშნენ რას-მანგაში, სებატი და აგოსი (უთუოდ რას მაკონენს დანიშვნენ) აბაშელები დაუბრუნებენ იტალიელებს ტყვეებს. ერთმანერთ შორის უნდა იქმნეს სავაჭრო ხელშეკრულობა. არც ერთი მხარე არ იხდის სამხედრო გარდასახადს. რასაკვირველია იტალიას აღარ ექმნება აღარავითარი პროტექტორატი აბაშეთზედ.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ და წიგნებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— ეხლანდელი ფრანგული ენა გამოუძიებიათ და გამოსულა, რომ ამ ენაშია: 1) 650 იმისთანა სიტყვა, რომელიც არ იციან საიდამ და რა გზით შესულან ფრანგულს ენაში; 2) 3,800 სიტყვა ლათინურის ენისაგან არიან შემოსულნი, 3) 320—გერმანულისაგან; 4) 20—ბერძნულისაგან; 5) 20—კელტურისაგან, 6) 450—იტალიურისაგან; 7) 100—ინგლისურისაგან; 8) 16 სლავიანურისაგან; 9) 110—სიმიტურ ენებისაგან; 10) 16—აღმოსავლეთურ ენებისაგან; 11) 20—ამერიკულისაგან: 12) 105—სიტყვაა ისტორიული, 13) 40—სიტყვა ხმის-მბაძავია (звуко-подрожательныя), სულ ამისთანა სიტყვები არის 5977. საფრანგეთის აკადემიის ლექსიკონით ფრანგულს ენაში 27,000 სიტყვაა. აქედამ რომ ეს 5,977 უცხო სიტყვები გამოვიდეთ, დარჩება თითქმის 21,000 სიტყვა, რომელნიც წარმოებულ არიან პირვანდელ სიტყვებიდამ, ან გადაკეთებულნი და გადმოღებულნი არიან ბერძნულ-ლათინურიდამაო. (პ. ი ლ.)

— ჩვენს მკითხველებს უკვე მოხსენებული აქვთ, რომ ერთი ამერიკელი მეცნიერი სცდილობს ისწავლოს მაიმუნების ენა. ეხლა გამოჩენილა სხვა მეორე მეცნიერი, რომელიც შესდგომია ბუზების ენის გამორკვევას. აუღია მიკროფონი და იმის შემწეობით მთელის საათობით ყურს ადევნებს ბუზთა ბზუილსა. იგი დარწმუნებულა, რომ ბუზებს თავისი ენა აქვთ და სრულებითაც არა ჰგავს იმ ბზუილსა, რომელიც ჩვენ გვესმის და ფრთების შრიალისაგან წარმოსდგებაო. იმ მეცნიერს შეუნიშნავს, რომ ბზუილთან ერთად, მიკროფონის შემწეობით, შესაძლოა კაცმა გაარჩიოს სხვა ხმებიცაო, უფრო გარკვეული და ნიშნობლივიო. გამოკვლეულია, რომ ბუზები საოცარი ყურ-მახვილნი არიან და მეტის-მეტი კარგი ყურთა-სმენა აქვთ და იგი მეტად წვრილი და წმინდა ხმები, რომელიც მათ ბზუილთან ერთად ისმის, ალბად ესმით ბუზებსაცაო. (პ. ი ლ.)

— მელანი თუ ფერადს რასმე დაეღვენთა, მაგალითებრ, სუფრას, ხელთ-სახოცს, ტანისამოსს და სხვას ამისთანას, ლაქის ამოყვანა შესაძლოა ამ წამლითაო: უნდა აიღოთ ერთი წილი შაბი, ერთი წილი ქარვა, ერთი წილი გვარჯილა და ერთი წილი გოგირდი, თვითეული ცალ-ცალკე ძალიან წმინდად და წვრილად დაჰნაყეთ, თორემ ერთად რომ დანაყოთ, შეიძლება იფეთქოს. მერე ცალ-ცალკე დანაყილები ერთმანეთში ფრთხილად გადურიეთ და მინის ჭურჭელში შეინახეთ. როცა მელანის ამოყვანა გნებავთ, ეს ფხვნილი ცოტა ამოიღეთ, ლაქას ზედ დააყარეთ და ზემოდამ ტილო დააფარეთ ჺ ან ამ ტილოთივე სრისეთ მელნით დაღვენთებული ადგილი, ან პატარა ჩოტკითა, ლაქა-სრულებით ამოვაო. (პ. ი ლ.)

## შეცდომის გასწორება:

—

„ივერიის“ № 56-ში შეცდომაა გასასწორებელი: მეოთხე გვერდზე სადაც ჩამოთვლილია მეტ-ნაკლებობა არაყის და სპირტის მსმელთა დღეგრძელობისა სწერია: „გამოდის რომ ვინც სულ არა სვამს, ის ყველაზე დღეგრძელია“ უნდა იყოს: „ის ყველაზე ნაკლებ დღეგრძელია“ და სხვანი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უმორჩილესი მადლობა შევსწირო ჩემგან და ჩემის მოსწავლეებისაგან ქ. ბ. ელ. აბრამიშვილისას, რომელმაც უძღვნა ჩემს სკოლას ამა მდგომარე წლის „ჯეჯილი“.

მასწავლებელი საჩხერის სახალხო სკოლისა ყ. ჩხეიძე.

საჩხერე 1 მარტს 1896 წ.

—

მოწყალეო ხელმწიფეო ბატონო რედაქტორო!

ამ წლის იანვარსა და თებერვალში თოვლმა მთელის ზუგდიდის მაზრის მცხოვრებთ დიდი ზარალი მისცა ჺ იმსხვერპლა რამდენიმე კაცი. თოვლის ქვეშ არის დამარხული 52 სული ორივე სქესისა და ურიცხვი საქონელი, სიმინდი, ჩალა, თივა და სხვა. მცხოვრებნი უკიდურესს მდგომარეობაში არიან ჩაცვივნულნი. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით დაარსებულ იქმნა ადგილობრივი კომიტეტი დაზარალებულთა დასახმარებლად. თანახმად დადგენილებისა აღნიშნულის კომიტეტისა, მოგმართავთ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფეო. და უმორჩილესადა გთხოვთ მიიღოთ თქვენს რედაქციაში ხელის მოწერა შემოწირულებათა გაჭირვებულთა სასარგებლოდ და შემდეგ შემოწირულებანი გამოგზავნოთ დ. ზუგდიდში მაზრის სასამართლოში.

დავშთები გულითადად თქვენი პატივის მცემელი თავმჯდომარე კომიტეტისა, ზუგდიდის მაზრის მმართველი, თავადი დადიშქელიანი.

1896 წ., 9 მარტი. დ. ზუგდიდი.

## შემოწირულება. *)

ვგზავნი ხელ-მეორეთ სიას შემომწირველთა წყალ-დიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ:

ა. თულაშვილი 2 მ., მღვ. ბართლომე გარსიაშვილი 1 მ., იასონ ჟამუტაშვილი 1 მ. დიმიტრი ცაბოლოვი 1 მ., ჰასან ალიკპერ-ოღლი 1 მ., ილია ბურაშვილი 1 მ., იაგორ ჩქარეული 50 კ., მიხა ავსაჯანოვი 50 კ., დავით ლაზაროვი 50 კ. და ლევან ალიბეგაშვილი 50 კ. სულ 9 მან.

ა. თულაშვილი.

*) ეს სია წინად მოგვივიდა, მაგრამ დაიკარგა. ფული-კი უკვე გადაეცა „დროებით კომიტეტს.“

რედ.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

12 მარტი.

**პეტერბურგი.** გენერალ-ადიუტანტი სვეჩინის გვამის წესის აგებაზედ დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს და დიდი მთავრები ვლადიმერ ალექსანდრეს ძე და მიხეილ ალექსანდრეს ძე.

**პარისი** პარლამენტში გარდასახადის ახალი პროექტის გასინჯვას შეუდგნენ. ლოპიტო მთავრობის პროექტს იცავს. ტიურელი წინააღმდეგია პროექტის და დაწვრილებით მოჰყავს მისი ნაკლულევანებანი.

ლებოდის საქმის შესახებ (შანტაჟისტების საქმე) სასამართლოს გარდაწყვეტილებას გამოაცხადებენ ოთხშაბათს.

**ბერლინი.** გერმანიის იმპერატორი და იმპერატრიცა ორი უმფროსი ვაჟით გენუაში წავიდნენ. გუშინ იმპერატორმა ინახულა გენერალ-ადიუტანტი ვერდერი, რომელიც პეტერბურგიდამ დაბრუნდა.

**კაირი.** ეგვიპტელმა ჯარმა უომროდ აიღო აკამე. აკამეში გზავნიან სამხედრო იარაღებსა და სურსათს და მისს გამაგრებას აპირებენ.


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ყ. მ. ჩიქოანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

**ი. ф. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. პუგინოვი.** 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინიგანი და კანისა.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 10-დგან 2 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—90).

**სასულიერო მთავრობის ნებართვით შესდგა კომიტეტი განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სახელზე აკადემიაში სტიპენდიის (ერთის ან ორის) დაარსებისათვის კერძო შეწირულებათა საჭირო ფონდის შესაკრებლად.** კომიტეტი მოიწვევს ყოველთა, რომელთაც არა ხოლო სიტყვით, არამედ საქმითაც სურთ დაამტკიცონ, —რომ მათ გულში ცხოველ არს ხსოვნა და პატივისცემა ამ დაუვიწყარი მოძღვართ-მოძღვრისადმი, შემოიტანონ თავისი წვლილი ამ წმიდა საქმისათვის. შემოწირულებათა რაოდენობა შემომწირველთა სიითურთ გამოცხადებულ იქნება თავ-თავის დროზე ადგილობრივ გაზეთებში. შემოწირულებანი უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით: კომიტეტის თავმჯდომარეს ქუთაისის სემინარიის რექტორს არხიმანდრიტს დიმიტრის.

თავმჯდომარის მაგიერ კომიტეტის წევრი დეკანოზი გ. ცაგარეიშვილი.

გამოვიდა და ისყიდება

«მოსე ხონელი ჺ მისი ამირანდარეჯანიანი»

წერილი მ. ჯანაშვილისა.

(60 გვ.. ფასი 10 კაპ.)

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ

## ქართული წერის დედანი



ვ. გაბიჩვაძისა.

ფასი 20 კაპ.

წიგნის მაღაზიების მეპატრონენი და სასწავლებელთა გამგენი თუ გამოიწერენ არა ნაკლებ 50 ცალისა, წერის დედანი დაეთმობათ და გაეგზავნებათ: ნაღდს ფულზე 30-ს და კომისიით 20°/₀/₀ დაკლებით.

ადრესი დამბარებელთათვის: Въ Тифлисъ содержателю Литографіи Георгію Ивановичу Демурову гановская ул. № 3. (3—1—2)